მერმა თანამშრომლების თვალწინ თავი მოიკლა
სამშაბათი, 01 ოქტომბერი 2013 18:23

მექსიკის ქალაქ ტეპეტონგოს მერმა საკატეკას კარლოს რობლესმა თანამშრომლების თვალწინ თავი მოიკლა. შემთხვევა დღეს მოხდა. ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, მერმა თავი ერთ-ერთი თანამშრომლის იარაღით მოიკლა.
დილით მერი სამსახურში მივიდა, შემდეგ საზოგადოებრივი ინტერესების დაცვით დაკავებული პოლიციელების საქმიანობით დაინტერესდა. მაგრამ მოულოდნელად მერმა ერთ-ერთი პოლიციელის იარაღის დათვალიერება მოინდომა.
იარაღის აღებისთანავე, მერმა ის შუბლზე მიიდო და გაისროლა. მერის თვითმკვლელობის მიზეზი უცნობია.

1 / 1